პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 მარტი კვირა 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 72 (14982)

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ძალა

ПРАВДА

27 მარტის მოწინავე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის XXIV ყრილობას ეგებება საზოგადოების პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმდიდრესი გამოცდილებით შეიარაღებული. სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე კიდევ უფრო გაიზარდა მისი მაორგანიზებელი და წარმმართველი როლი ჩვენი სამშობლოს ცხოვრების ყველა სფეროში. განვლილი გზის შედეგები ახალი ძალით ადასტურებენ, რომ სწორია პარტიის საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსი. მას მხარს უჭერს მთელი ხალხი, რასაც ერთხელ კიდევ მოწმობს ის, რომ ერთსულოვნად მოიწონეს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი.

ჩვენი პარტიის კურსის ძალა და ცხოველმყოფელობა ის არის, რომ იგი ხელმძღვანელობს საზოგადოების მომწიფებული მოთხოვნილებებით და ეყრდნობა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა და პროგრესულ ტენდენციათა ცოდნას. ასეთ ნამდვილად მეცნიერულ ცოდნას იძლევა ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, მარქს-ენგელს-ლენინის დიადი მოძღვრება.

მარქსიზმ-ლენინიზმი იყო და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და პრაქტიკული საქმიანობის თეორიული საფუძველი. პარტიამ გადაჭრით უარყო სუბიექტივიზმი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი მეცნიერულ მიდგომას ცვლიდა თვითნებური იმპროვიზაციებით, დაძლია ის, რომ ჩვენში ერთ დროს ჯეროვნად არ აფასებდნენ რევოლუციური თეორიის და ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპების დაუფლებას. სწორედ მეცნიერულმა, რეალისტურმა მიდგომამ ეკონომიური და სოციალური პრობლემებისადმი, რომელიც აისახა სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებში, უზრუნველყო მერვე ხუთწლედის წარმატება — ჩვენი სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალებისა და კულტურის საერთო აღმავლობა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ტემპის არსებითი დაჩქარება, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება.

მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული პარტია მტკიცედ ხელმძღვანელობს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას. იგი ღრმად შეისწავლის ვითარებას, თეორიულ საუნჯეს უხამებს შეძენილ გამოცდილებას და დროულად ამჩნევს, სწორად აფასებს წარმოშობილ პრობლემებს, სახავს მათი გადაჭრის კონკრეტულ გზებს, განუხრელად სრულყოფს თავის საქმიანობას.

სოციალისტური საზოგადოების განვითარებასთან და მის წინაშე დასახულ ამოცანათა გართულებასთან ერთად იზრდება თეორიის როლი. უთეორიოდ წარმოუდგენელია შეძენილი გამოცდილების ღრმა ანალიზი და განზოგადებაც, დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიური პროგნოზირებაც და დაგეგმვაც. ვ. ი. ლენინის თქმით, მარქსიზმი აყენებს საკითხებს „არა მხოლოდ წარსულის ახსნის თვალსაზრისით, არამედ მომავლის გაბედული წინასწარმეტყველების და მისი განხორციელებისათვის გაბედული პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისითაც...“

აი რატომ არის, რომ კომუნისტური პარტია დიდად ზრუნავს რევოლუციური თეორიის განვითარებისათვის და თეორიულ აზრს წარმართავს თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების შემოქმედებითი დამუშავებისა და მეცნიერული გადაჭრის გზით. მთელი თეორიული მუშაობის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“. ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს, რომ კიდევ უფრო განვითარდეს საზოგადოებრივი მეცნიერებანი, განხორციელდეს საზოგადოების განვითარების თანამედროვე პროცესების კომპლექსური კვლევა სოციალისტური მეურნეობის მეცნიერული ხელმძღვანელობისა და კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტის მიზნით. დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ, კერძოდ, ეკონომიურ მეცნიერებას, რომელმაც მთელი ყურადღება უნდა დაუთმოს სახალხო მეურნეობის გეგმიანი მართვის პრაქტიკაში ობიექტური ეკონომიური კანონების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობისა და ინტენსიფიკაციის ყოველნაირად ამაღლების პრობლემების, აგრეთვე სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გამოყენების ყველაზე ეფექტიანი ფორმების დამუშავებას. სკკპ XXIV ყრილობა დასახავს კომუნისტური მშენებლობის ახალ პერსპექტივებს, რომლებიც ყოველმხრივ და ღრმა მეცნიერულ გააზრებას მოითხოვენ.

პარტია მუდამ მიმართავს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, გაანუხრელად ავითარებს და ამდიდრებს მას და ჩვენს კადრებს, ყველა მშრომელს ასწავლის გულმოდგინედ დაეუფლონ ამ დიად იდეურ იარაღს და უნარიანად გამოიყენონ იგი. რაც უფრო მაღალია ადამიანთა თეორიული მომზადება, მით უფრო უკეთ ერკვევიან ისინი თანამედროვე ვითარებაში, მით უფრო ნათლად ესმით და აქტიურად ახორციელებენ პარტიის პოლიტიკას. როგორც ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“, ადგას რა ლენინურ გზას, პარტია იღვწის იმისათვის, რომ ყველა კომუნისტმა შეგნებულად აითვისოს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, რომ მათი იდეურობა გამოიხატებოდეს კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში პრაქტიკული მონაწილეობით. ხუთწლედის დიდ და რთულ ამოცანებს მხოლოდ მაშინ გადაწყვეტთ წარმატებით, თუ ვიხელმძღვანელებთ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით.

მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე ბაზა უდევს საფუძვლად პარტიის მთელ უზარმაზარ და მრავალფეროვან მუშაობას მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, მათი შეგნების ამაღლებისათვის. ამ ბოლო დროს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით ეს მუშაობა, ლენინიზმის შესწავლა და პროპაგანდა განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა. კომუნისტური პარტია დღენიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ ყველა საბჭოთა ადამიანს ჩაუნერგოს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულება ნიშნავს მებრძოლურ შეურიგებლობას მისი იდეური მოწინააღმდეგეებისადმი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის, მემარჯვენე და „მემარცხენე“ რევიზიონიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი. ჩვენი პარტია ურყევად იცავს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდეს, მომზე პარტიებთან ერთად ახორციელებს კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირის მოწოდებას — იბრძოლონ თეორიისა და პოლიტიკის მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნისტული დამახინჯებების წინააღმდეგ, რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და მემარცხენე-სექტანტური ავანტიურიზმის წინააღმდეგ.

სკკპ XXIV ყრილობის წინ კომუნისტები და ყველა საბჭოთა ადამიანი კვლავ გამოხატავენ უსაზღვრო ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური დროშისადმი. ლენინური პარტია აკავშირებს და შთაგონებს მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს და მაღლა ატარებს კომუნიზმისათვის — მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ამ დიად ძლევამოსილ დროშას.

ვოლქსკის საავტომობილო ქარხნის მშენებლებს, მექანიკოსებს, ავტომობილმშენებლებს, მისი აგების ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგილოცავენ შესანიშნავ შრომითის გამარჯვებას, რომ დაამთავრეთ მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაეცით ვოლქსკის საავტომობილო ქარხნის პირველი რიგი, რომელიც წელიწადში 220 ათას მსუბუქ ავტომობილს გამოუშვებს, და დაიწყეთ მათი მასობრივი წარმოება. ეს წარმატებანი არსებითი წვლილია ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

თქვენი გმირული გარჯით მოკლე ვადაში და მაღალ ტექნიკურ დონეზე შესრულდა უდიდესი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო და გამართვის სამუშაოები. მწყობრში ჩადგა ავტოქარხნის 1,2 მილიონი კვადრატული მეტრი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ფართობი. კარგი პირობები შეიქმნა ავტომობილმშენებელთა დიდნაყოფიერი შრომისათვის.

სამრეწველო კომპლექსის აგებასთან ერთად შენდება ავტომობილმშენებელთა ქალაქი, რომელიც შეესაბამება ქალაქთმშენებლობის თანამედროვე მოთხოვნებს.

ამ კოლექტივების სახელოვანი საქმენი, რომლებიც პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ საბჭოური ავტომობილმშენებლობის გიგანტის აგებაში, ბრწყინვალე ფურცლად შევა საბჭოთა ხალხის იმ შრომითი გმირობის მატიანეში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას მიუძღვნეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მშენებლები, მექანიკოსები, ავტომობილმშენებლები, ვოლგაზე შრომითი გმირობის ყველა მონაწილე პირნათლად დამთავრებენ დასახულ ვადებში ჩვენი ქვეყნის მსუბუქი ავტომობილების უდიდესი ქარხნის მშენებლობას.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის შექმნისათვის კეთილშობილურ შრომაში, ჯანმრთელობასა და დიდ ბედნიერებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საქართველოს კინემატოგრაფისტთა III ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გულითადად მოგესალმებათ თქვენ, რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა III ყრილობის დელეგატებს, და თქვენი სახით ქართული საბჭოთა კინოს ყველა წარმომადგენელს.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი საბჭოთა კინოხელოვნების მოღვაწეთა ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. პარტიულობის, ხალხურობისა და სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ერთგულმა ქართველმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს არა ერთი მკაფიო ნაწარმოები, რომლებმაც დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. მათი საუკეთესო ნამუშევრები მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან, დამაჯერებელი სიმართლით და ნიჭიერად ასახავენ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს.

ქართული კინოს მუშაკთა ყრილობა შეიკრიბა ღირსშესანიშნავ დღეებში. რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით ეგებებიან სკკპ XXIV ყრილობას, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მეცნიერების, კულტურის შემდგომი განუხრელი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების გამლილ პროგრამას.

საქართველოს კინემატოგრაფისტები მოწოდებული არიან აქტიური როლი შეასრულონ ამ დიადი პროგრამის განხორციელებაში, კვალდაკვალ მიჰყვნენ ცხოვრებას, უფრო სრულად ასახონ საყოველთაო-სახალხო ბრძოლა კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის, დაეხმარონ პარტიას კომუნისტური საზოგადოების ახალი ადამიანის აღზრდაში.

ჩვენს კინოს ჰკავს ‘მრავალმილიონიანი მაყურებელი. ამიტომ კინოს მუშაკებს მოეთხოვებათ მაღალი იდეურობა და ნათელი შემოქმედებითი აზრი. მათ ღრმად და მაღალმხატვრულად უნდა ასახონ საბჭოთა ცხოვრების სინამდვილე.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა III ყრილობა განიხილავს უმნიშვნელოვანეს შემოქმედებითს საკითხებს, დასახავს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებს და ხელს შეუწყობს კინოხელოვნების შემდგომ იდეურ-მხატვრულ ზრდას, ქართული კინოს მიერ ახალი მწვერვალების დაპყრობას. ამისათვის საჭიროა, რომ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი მუდმივად ზრუნავდეს კინოს მუშაკების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაზე, ქმედითად ეხმარებოდეს მათ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან ცხოვრების მოვლენათა გააზრებასა და განზოგადებაში, მხატვრული ოსტატობის სრულყოფაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების აღზრდას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წარმატებითს მუშაობას უსურვებს ყრილობას და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ქართული საბჭოთა კინოს მოღვაწენი ჩვენს ხელოვნებას გაამდიდრებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ხალხის დიად საქმეთა ამსახველი ახალი, შესანიშნავი ნაწარმოებებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

მხატვარი გ. მაისურაძე.

თბილისის მრეწველობამ კვარტალური გეგმა შეასრულა

თბილისის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა და ორ განიზაციათა მშრომელებმა 27 მარტს დაამთავრეს პროდუქციის გამოშვების მეცხრე ხუთწლედის ახალი სამეურნეო წლის კვარტალური გეგმის შესრულება და წარმატებით გაანალდეს სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

კვარტალური ვალდებულება 6 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების შესახებ ორი თვით ადრე გადაჭარბებით შესრულდა. მარტის დამლევამდე სახელმწიფოს დამატებით ჩააბარებენ კიდევ რამდენიმე მილიონი მანეთის მძიმე მრეწველობის მზა პროდუქციასა და სახალხო მოხმარების საქონელს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, ქარხანა „ცენტროლიტის“, დიმიტროვის სახელობის საავიაციო, სატელეგრაფო აპარატების, „მაგნიტოფონის“, 26 კომისრის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნების, თბილისის ხელსაწყოების № 4 მექანიკური, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნების, №5 ავტოსატრანსპორტო საწარმოს, კამვოლ-მაუდის „საბჭოთა საქართველოს“, სართავ-სატრიკოტაჟო, საკონდიტრო, რძის კომბინატების, საიუველირო, თამბაქოს, ჩაის, № 1 სამკერვალო ფაბრიკების და სხვა კოლექტივებმა.

რკინიგზის, საავიაციო, საავტომობილო და საქალაქო ტრანსპორტის მუშაკები მარტის დამლევამდე გადაზიდავენ რამდენიმე ასეულ ათას ტონა ზეგეგმითს სახალხო-სამეურნეო ტვირთს და გადაიყვანენ რამდენიმე მილიონ მგზავრს.

ქალაქის საწარმოების, ტრანსპორტისა და ორგანიზაციების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ისტორიული მოვლენები ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დიდი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ. (საქდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ХИЛДОЕБИ ДИРСЕУЛТ

ИМИСАТВИС, რომ დიდი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმების შესრულებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დიდი ჯგუფი, აგრეთვე წყალთა მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საწარმოებისა და დამამზადებელი ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საცდელი სადგურების მუშაკები. იმ კოლმეურნეებს, მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების თვალსაჩინო შედეგების მიღწევაში, მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ იბეჭდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და შემოკლებით ადგილობრივ პრესაში, ხოლო სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ — „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

სურათზე: სკკპ XXIV ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი საქართველოდან ქ. მოსკოვში, კურსკის ვაგზალზე.

ფოტო ვ. ბინზბურგისა. („კომუნისტის“ სპეც. კორ.).

XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲖᲔᲑᲘ

ᲣᲙᲕᲔ მეორე კვირაა გადაულებლივ წვიმს. ბაერი ნესტიანია და ცივი. ირგვლივ ყველაფერი — ნათესები თუ ხეები წყალში დგას, თითქოს ეს-ეს არის დედამიწას ზღვის ხილრმიდან ამოუწევიაო.

ავტომანქანა კი მაინც გაბედულად მისრბოლებს სამტრედიიდან ვანისაკენ მიმავალ გზაზე. მხოლოდ აქა-იქ დაზიანებული ასფალტიდან დაგუბებული წყალი თუ ამოსახამს ხმაურით. თანდათანობით ბინდიც იერება, თენდება... ღილის ცივ ლრუბლებში ძლივს მოჩანან გზის კონტურები და მწკრივზე გაყოლებით მდგომი თეთრ შენობათა სილუეტები.

— ეს ახალი დასახლებაა, — მეუბნება პარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი გივი ყიფიანი. — ალბათ გახსოვთ, ამ ორი წლის წინათ ჩვენს რაიონში მეწყერმა რომ დაანგრია მთიანი ზონის მოსახლეთა ბინები, აი სწორედ აქ ისინი დასახლდნენ.

უცებ ფიქრებში ჩავიძირე. მართალია, ამ მძიმე დღეებში ვანში არ ვყოფილვარ, მაგრამ ის, რაც სხვების გადმოცემით ვიცოდი, საკმარისი იყო წარმოდგენა მქონოდა ამ რაიონის მშრომელთა მართლაც და ვაჟკაცურ სულზე, გამბედაობასა და ორგანიზებულობაზე. გონებაში გაიელვა 1967 წლის ნოემბრის ბოლოს და 1968 წლის დასაწყისში მომხდარმა ამბებმა.

ჯერ თითქმის მთელი კვირა გამუდმებით თოვდა, მოდიოდა მძიმე, წყლიანი თოვლი. რაიონულ ცენტრსა და სოფლებში მწყობრიდან გამოვიდა კავშირგაბმულობის ქსელი. შემდეგ კი ერთბაშად წამოვიდა კოკისპირული წვიმები, მშრალი ხევებიც კი მდინარეებს დაემსგავსა. ადიდდა, აიფაფრა რიონი, გადმოლახა ნაპირები, დაემუქრა ჭალებს, სოფლებს — შუამთას და ჭყვიშს, შუქედის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმა წყალშუა მოექცა.

მდინარე სულორიც ასეთი გაავებული ჯერ არავის ენახა, მოაგორებდა უზარმაზარ ლოდებს, აყრუებდა ირგვლივ ყველაფერს. გადალახა ჯებირები, მილეწ-მოლეწა ხიდები და საფრთხე შეუქმნა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს, საგზაო უბანს, სამშენებლო-სარემონტო კანტორას, მოსახლეობას. ადიდდა აგრეთვე უფორი, კვინისწყალი და ფერეთა, ხოლო ჭიშურა, რომელიც ზაფხულობით თითქმის დაშრალია, ვინ წარმოიდგენდა, თუ ვეება ტალღებს ააგორებდა, გაცოფდებოდა და დაბას დაემუქრებოდა.

ღღე და ღამე არ ეძინათ მაშინ პარტიის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომში, ათი დღე სული ტანსაცმელი არ გაუძრიათ ტანიდან. ფეხზე დადგა მთელი პარტიული აქტივი. მობილიზაცია გაუკეთეს ტრაქტორებსა და ბულდოზერებს, ყველა ადგილობრივ საშუალებებს, ადამიანები პირდაპირ ვმირობას იჩენდნენ. აი ერთ-ერთი მათგანი—კომუნისტი სერგო მიქელაძე... იგი თითქმის მთელი დღე წყალში იყო, ხელებიდან სისხლიც კი მოსჩქეფდა, მაგრამ მდინარეში ჩავარდნილ ბულდოზერს მაინც გამოაბა რკინის ტროსი, რომლითაც შემდეგ ოთხმა ტრაქტორმა ამოსწია და დაგუბებულ წყალს გზა მისცა. მდინარეთა ნაპირები რომ გაემაგრებინათ, სჭრიდნენ ასწლოვან ხეებს, აწყობდნენ სილით სავსე ტომრებს. ბოლოს სტიქიასთან ვაჟკაცურმა შემართებამ გაიმარჯვა. საფრთხემ უკან დაიხია.

მაგრამ ბუნების ამ სიავემ კვალი მაინც დატოვა. ღელეებიდან, ხეებიდან წამოვიდა ღვარცოფები, ხოლო მთიანი სოფლებისაკენ მეწყერი დაიძრა. აი სწორედ ამ საშიში ზონიდან სწრაფად და ორგანიზებულად გაიყვანეს ხალხი და უშიშარ ადგილებში, უფრო უკეთეს მიწებზე დაასახლეს...

— ამ ადგილებს ხომ სახნავ-სათესად იყენებდით? — შევეკითხე რაიკომის მდივანს.

— დიახ, წყალდიდობამ და მეწყერმა ამ წლის ბევრ სახნავ-სათესზე აგვალებინა ხელი, 1968 წელს შემოსავლიანი ფართობების მხოლოდ ნახევარზე ცოტა მეტიღა თუ გამოვიყენეთ, მაგრამ მაინც გადაჭარბებით შევასრულეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის იმ წლის გეგმები, — ცოტა ბოსტნეულში გაგვჭირდა, — დასძინა ბოლოს, — ნათესები ზაფხულში კვლავ ადიდებულმა მდინარეებმა წალეკეს.

დიახ, ბუნება როდი ანებივრებს ვანელებს, მაგრამ ვაჟკაცურ გარჯას, საქმის გონივრულ გაძღოლას შეუძლია ბუნების ავი ზრახვანიც მოთოკოს და სიკეთეც ამრავლოს, სწორედ ამიტომ უთქვამთ: ადამიანი ცოცხლობს მიწაზე, რომ სიკეთე შექმნას.

გზა სწრაფად დაილია. აი უკვე დაბის ცენტრში ვართ. რაიკომის ახალი შენობის დერეფნებში ხალხი ირეოდა. უამინდობის მიუხედავად ამ დილაადრიან მოსულიყვნენ ისინი, რომ საჭირო საკითხზე ოპერატიული პასუხი მიეღოთ; ზოგს რჩევა სჭირდება, როგორ მოიქცეს, რადგან ამინდი ჭირვეულობს. თესვაზე კი ხელი ეშლებათ... ზოგმა სანომეწკლატურო თანამდებობის მუშაკი უნდა შეუთანხმოს ბიუროს წევრებს, ზოგიც პირად საქმეზე მოსულა — სხვა ორგანოებში ზუსტი პასუხი ვერ მივიღეო.

ერთი სიტყვით, მთელი შენობა ფუტკრის სკას მოგაგონებდათ, სადაც ყველა ფუსფუსებს, ყველას აქვს მოსაგვარებელი და გასაკეთებელი რაიმე საქმე. სხვანაირად ვერც წარმოიდგენთ. რაიკომი ხომ ისეთი შტაბია, სადაც „საბოლოოდ მუშავდება", საგზური ეძლევა რაიონის ცხოვრების ამა თუ იმ საყურადღებო, დიდმნიშვნელოვან საკითხს.

ვანის რაიონი მესხეთის მთის ჩრდილოეთ კალთებზე, მდინარე რიონამდე არის გაშლილი. მის ეკონომიკაში მთავარი და წამყვანი სოფლის მეურნეობაა. აი სწორედ ამისკენ არის მიმართული პარტიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა და მისი სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთელი ყურადღება.

ჟურნალისტებს უყვართ ძველი საგაზეთო კომპლექტების გადათვალიერება ანუ, როგორც ჩქარად ამბობენ, „გადაქექვა". ზოგჯერ ერთი ძველი სტრიქონი იმდენ კითხვას აღგიძრავს, რომლის პასუხის გასაცემადაც დღეები არ გეყოფა. აი ჩვენს წინაშეა ორი ახალი კომპლექტი, ერთი საკმაოდ ძველია, ფურცლებგაცრეცილი, ხოლო მეორე ახალი, მხოლოდ გასული წლისაა.

პირველში ვკითხულობთ:

„ვანის რაიონში 25 კოლმეურნეობიდან 16 ეკონომიურად სუსტია. კოლმეურნეობები წლითიწლობით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავალს იღებენ. ფულადი შემოსავლის საერთო თანხიდან შრომადღეებზე მხოლოდ 17-21 პროცენტს ანაწილებენ".

ასე იყო ნათქვამი საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობაზე 1961 წელს.

— ახლა კი, — აღნიშნა შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ავლილის პლენუმზე ამხანაგმა ვ. კ. მჟავანაძემ, — უნარიანი ხელმძღვანელობის მეოხებით ამ კოლმეურნეობებმა სწრაფად დაძლიეს სიძნელენი და მოწინავენი გახდნენ. ერთ წელიწადში საშუალო ნაწილი გაიზარდა 466 კილოგრამით.

ორი პერიოდი, ორი შეფასება. რა წინსვლაა!

ათასგვარი ციფრები, სტატისტიკური ანგარიშები ერთმანეთში ირევა... მაგრამ აი ალაგებ მათ წლების, დარგების, კოლმეურნეობების მიხედვით და იკითხავ ერთიანი საინტერესო წიგნი, მერვე ხუთწლედში ვანელთა წინსვლის, მათი გარჯისა და შემოქმედების შესახებ.

ამ გარჯაზე მიუთითებს ის, რომ 1966-70 წლებში წინა ხუთწლედთან შედარებით ვანელებმა აწარმოეს 58.400 ცენტნერით მეტი სიმინდი, 28.660 ცენტნერით მეტი ბოსტნეული, 36.900 ცენტნერით მეტი ყურძენი, 1.900 ცენტნერით მეტი ხორცი და 14.580 ცენტნერით მეტი რძე. ახლა ისიც ვთქვათ, თუ როგორ გაიზარდა თვით კოლმეურნეობათა შემოსავალი! იგი წინა ხუთწლედთან შედარებით შვიდი მილიონით მეტია. წინათ რომ საერთო ფულადი შემოსავლიდან შრომადღეებზე მარტო 17-21 პროცენტს ანაწილებდნენ, მერვე ხუთწლედში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებას 70-პროცენტზე მეტი მოახმარეს.

მართალია, ეს საერთო ციფრებია, მაგრამ ცალკეულ კოლმეურნეობებშიც ცუდად როდია საქმე. აი უკვე ორი წელი რაიონში არც ერთი სუსტი და ზარალიანი კოლმეურნეობა აღარა ყოფილა.

წელში უფრო მაგრად გაიშალა ვანელი კაცი. მოდით, აბა ახლა ნახეთ ტობანიერი თუ შუამთა, ზეინდარი თუ გორა, ციხისულორი თუ ბზვანი, მუქედი თუ დიხაშხო... ლამაზ, ფართო შენობებს, პატარძლებივით გამოწყობილ საცხოვრებელ სახლებს რამდენჯერაც უნდა ჩაუარო, ისევ უკანვე მიგახედებს. 16 საშუალო და რვაწლიანი სკოლა ამშდა მერვე ხუთწლედში, ბევრს სასწავლო ოთახები მიუშენეს, გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღები და ბაღები, სოფლის მშრომელთა სამსახურში ჩადგა 60-მდე სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი, რამდენიმე კლუბ-კინტორა და ბიბლიოთეკა, საკოლმეურნეო ბაზარი...

მაგრამ ყოველივე ეს და სხვა ათასი რამ, რაც გაკეთდა, როგორც ეს პლენუმზე ითქვა, „უნარიანი ხელმძღვანელობის" შედეგია.

უწინარეს ყოვლისა, როცა საკითხი პარტიის რაიკომს ეხება, იქ ჩვეულებრივად იგულისხმება ამ პარტიული ორგანოს მუშაობის სტილი და მეთოდები, მისი აპარატის მუშაკების გამოცდილება, თვითმოქმედება, ძალა.

მე კარგად დამახსომდა საუბარი გ. ყიფიანთან. სტილი? — ჩემი აზრით, — თქვა მან, — სრულიად უბრალო განმარტებას მოითხოვს. საქმიანობა — აი ჩვენი სტილი. თუ ყოველდღიურად მოვლენების კურსში ხარ, თუ ახერხებ, რომ მონახო ყველაზე პრაქტიკული და შედეგიანი გზა საკითხის გადაჭრისათვის, თუ არ ივიწყებ შესრულების კონტროლს, პატივს სცემ საკუთარ სიტყვას და ამასვე ასწავლი სხვებს, — ეს მართლაც სტილია.

რაიკომის მუშაობის პრაქტიკაში მთავარია ბიუროს სხდომებზე, პლენუმებსა და აქტივის კრებებზე საკითხების ღრმად, საფუძვლიანად განხილვა, ხოლო შემდეგ სისტემატური ზრუნვა იმისათვის, რომ ყოველი გადაწყვეტილება ცოცხალ საქმედ იქცეს.

— ყველაზე კარგ შედეგს იძლევა ის, რომ მეტ ხანს ვიყოთ ადგილებზე, ყურადღებით მოვუსმინოთ ხალხს, — საუბარში ჩაებნენ რაიკომის მდივნები გ. ჩახუნაშვილი და შ. გიორგაძე, — ყოველი კარგი და კეთილი საქმე ხომ შრომაში, ადამიანთა შორის იბადება.

მართლაც, როგორც რაიკომში, ისე რაისაბჭოს აღმასკომში ბევრს ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ გაეზარდათ კიდევ უფრო მეტად ყურძნის მოსავლიანობა. გზებიც იცოდნენ, მაგრამ ამას მარტო დადგენილებით ვერ გააკეთებ. ხალხის ინიციატივაა საჭირო. და აი სოფელ ზეინდარში კომუნისტებმა წამოიწყეს ვენახებში სიმეჩხრის ხალიკვიდაცია ლაშქრობა. უკანასკნელ სამ წელიწადში ამ ლაშქრობამ, რომელსაც მაშინვე მხარი დაუჭირა რაიკომის ბიურომ და რომელიც ყველგან გავრცელდა, თუ ერთიან ფართობად წარმოვიდგენთ, 66 ჰექტარი ვენახი შემოტა კოლმეურნეობებს.

ახლა რაიონში ბევრს ლაპარაკობენ დამკვრელ ორმოცდაათიანელთა მოძრაობაზე, წლის დასაწყისში მათი პირველი შეკრებაც კი მოეწყო. ვინ არიან ისინი? საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ისევ ზეინდრელებმა თქვეს, რომ ყველა კოლმეურნეობაში იყოს კომუნისტური შრომის სულ ცოტა 50 დამკვრელი მეკვნესე და თვითეულს მოსავლელად მიჩენილი ჰქონდეს ნახევარი ჰექტარი ფართობი მაინც. ამ თაოსნობის მნიშვნელობა დიდია განსაკუთრებით იმიტომ, რომ წინანდელი 0,1-0,2 ჰექტარი ვენახი, რაც ბევრ კოლმეურნეს ჰქონდა მოსავლელად მიჩენილი, სულაც არ ახალისებდა მათს შრომას, არ აძლევდა სტიმულს, უარყოფითად მოქმედებდა შრომის დისციპლინაზე.

პარტიის რაიკომს ხშირად აქვს შეკითხვები სპეციალისტებისადმი, ხოლო სპეციალისტებს — რაიკომისადმი. ეს არის მოთხოვნილება შემოქმედებითის ურთიერთობაზე, გულითად საუბარზე. სად შეიძლება ისინი დაწყნარებით, მშვიდად განიხილონ? რა წესით? როგორ? რა თქმა უნდა, ასეთი განხილვა არ ხერხდება ოფიციალურ სხდომებზე. აი სწორედ ასეთ დროს მათ ეხმარება „შეხვედრები რაიკომში".

მეტად საინტერესო იყო ამ დღეებში გამართული ასეთი შეხვედრა მებოსტნეობის ზონალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებთან. რაიკომის მუშაკები, სპეციალისტები, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები მივიდნენ საერთო დასკვნამდე, თუ როდის, რომელ ფართობებზე, რა რაოდენობით და რა სახის ბოსტნეული დათესონ, რა უფრო მეტ ეკონომიურ ეფექტს მოიტანს.

მაგრამ ყოველი კეთილი საქმე მაინც ადამიანთა ხელით იქედება, მათი მადლიანი შრომით იქმნება. ვანის რაიონსაც ჰყავს თავისი მოწინავე ადამიანები, თუ შეიძლება ასე ითქვას, სოფლის გვარდია, რომლის გზითაც შემდეგ მიდიან, შრომობენ ათასები და ათიათასები.

უნდა იმრავლონ ამ ათასებმა და ათიათასებმა. კიდევაც ამიტომ არის შექმნილი სოფელ მთისძირის კოლმეურნეობაში მეაბრეშუმე ა. გვენეტაძის, ტობანიერში მესიმინდე ა. ჩახუნაშვილის, უხუთში მეჩაე შ. ჯანელიძის, ზეინდარში მევენახე გრ. მაღლაკელიძის სკოლები. ამ სკოლების დიდი სიკეთე რომ ნახა, პარტიის რაიკომმა ხელი შეუწყო სოფელ ბზვანში მევენახე მ. ტყეშელაშვილის, დიხაშხოში ვ. მამასახლისის, ხოლო ციხისულორში მებოსტნე თ. გიორგაძის სკოლების შექმნას.

მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვა ერთ-ერთი მთავარია რაიკომის მუშაობაში. ამიტომ იყო, რომ ამ ორი წლის წინათ ვანელ მეჩაიეთა დასახმარებლად მოიწვიეს აკადემიკოსი ქ. ბახტაძე, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე დ. პატარავა და სოციალისტური შრომის გმირი, წარჩინებული მეჩაე დ. ტაკიძე.

რაიონულ რგოლში მუშაობისას ერთ ამბავს შეხვდები კაცი: რთულსაც, სამწუხაროსაც და სასიხარულოსაც. თითქოს მოულოდნელი არაფერი არც უნდა იყოს. მაგრამ ყოველდღე მაინც სულ ახალია, წინაღღისაგან განსხვავებული, თვითეული ამბავი თუ საქმე ახლოს მოდის შენთან, გულზე გეჭიდება, აღელვებს რომელიღაც სიმს.

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა, ბიუროს სხვა წევრებმა სწორედ ახლოს მიიტანეს ახალგაზრდობის ის ოცნება, რომ „გადიდის" გორაზე, რომელიც რაიონში ყველაზე ახლოა ზურმუხტოვან ცასთან ან სულ რვა კილომეტრზეა ვანიდან, თუგინდ პატარა გზა მაინც ყოფილიყო და იქაური ტყის სიმშვენიერით დამტკბარიყვნენ.

თქვა, და სიტყვა საქმეს დაამშვენა. მხოლოდ შაბათობებით, ადგილობრივი იაფფასიანი სამშენებლო ქვის გამოყენებით კარგი სამანქანო გზაც გაიყვანეს და სასმართველიანი ბავშვთა პანსიონატიც წამოიმეს. ამ გორას ახლა ზოთა რუსთაველის გორას ეძახიან. იქიდან ხელისგულივით მოჩანს ქუთაისი, წყალტუბო, წულუკიძე, სამტრედია, მოწმენდილ ცის ფონზე კი ხანდახან შავი ზღვის სანაპიროსაც დაინახავ.

როცა რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები „ნაცხარზე" (ასე ეძახდნენ ახლანდელ „შვიდმობის გორას") ავიდნენ, ზოგნი ამბობდნენ, ხრიოკია, ტყუილად გაირჯებითო. დღეს კი უკვე ტანი აიყარა ფიჭვებმა და კვიპაროსებმა, კედრებმა, მოეწყო ბავშვთა გასართობებიც. მის აღმოსავლეთით „ჭვარის სერზე" ქვედა ვანისა და სახლნოს კოლმეურნეობებმა ხეხილი გააშენეს. აქ მოსული მალე ხილსაც იგემებს.

ან ყოფილი „ხაყანჩია" ავიღოთ, დაბასთან ახლოს ათი ჰექტარი მიწა ჭაობად რომ იყო ქცეული. ახლა იქ შესანიშნავი სტადიონია, რომელსაც თევზებით სავსე არხი აქვს შემორტყმული და იქაურობა მწვანე ნარგავებით დამშვენებული.

ადვილი სათქმელია ყოველივე ეს, მაგრამ რამდენი შრომა, რამდენი ენერგია დახარჯა მიწის გაწმენდას, მის შემოკავებას, გამწვანებასა და კეთილმოწყობას.

გზის მეორე მხარეს კი კედელია, ადგილობრივი გრანიტის ღორღით ნაგები. მასში ჩასვეს ბავშვთა მხატვრული ნამუშევრები, ყველა გამვლელს რომ აოცებს. სპეციალურად აშენებულ სამხატვრო სკოლა-ინტერნატში მოკანდაკე დ. ყიფშიძის ხელმძღვანელობით ვანელი მოსწავლეები საბჭოთა საქართველოს ნახევარსუკუნოვანი ზეიმისათვის 50 ძეგლის შექმნას გეპირდებიან, რომლებმაც მათი საყვარელი სამშობლოს წარსული, აწყო და მომავალი უნდა ასახონ.

იქვე, ცოტა ზემოთ, გადათხრილი გორა მოჩანს... დიდი გალაკტიონი ამბობდა:

„რამდენი განძი ავდრიანით
გაქრა ამინდით,
ზეაღმართული სიამაყით
და თვალსაჩინოდ.
მოფენილია ევერია
ვრცელ ორნამენტით.
ვიაროთ, ვეძოთო, მოვიძიოთ,
გადავარჩინოთ".

და როცა ჩვენი ერის ისტორიის ოქრომ ამ გორიდან გამოაშუქა, ვანელებმა ანაც თქვეს თავიანთი პატრიოტული სიტყვა, არქეოლოგებთან ერთად „იპოვეს, მოიძიეს და გადარჩინეს" მიწის გულიდან ამოღებული წინაპართა ეგზემპლარი ხელოვნების ნიმუშები.

ეს და კიდევ სხვა ბევრი რამ შეგიძლიათ ნახოთ ახლა დაბა ვანსა და მის რაიონში. გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი და მის ირგვლივ გაშენებული სკვერი, ქვაში რომ გაუცოცხლებიათ დიდი პოეზია; ზოთა რუსთაველის ობელისკი; კუროორტი სულორი, როგორც ეძახიან მას აქაურნიც და სამკურნალოდ ჩამოსულნი; ხელოვნური ზღვა — აქაური ახალგაზრდების საყვარელი ადგილია... ყოველ საქმეში კი თვალნათლივ ჩანს პარტიის რაიონული კომიტეტის, როგორც ვანელ მშრომელთა ჭეშმარიტი ხელმძღვანელის, შემოქმედება და სწრაფვა, მისი ცოცხალი, პრაქტიკული საქმე.

რაოდენ დიდ გეგმებს ისახავენ, რა დიდ სიმაღლეებს ეგზიდებიან ვანელები ახალ ხუთწლედში! აქ ბევრი რამ შეიქმნება და აშენდება, რაზეც მღელვარებითა და გატაცებით, მთელი გულწრფელობით ლაპარაკობენ დაბასა თუ თვითეულ სოფელში.

სხვა დელეგატებთან ერთად ჩვენი პარტიის ოცდამეოთხე ყრილობაზე გაემგზავრა გივი ყიფიანიც — პარტიის ვანის რაიკომის პირველი მდივანი...

* * *

ᲓᲘᲓᲘ ბურუსის შემდეგ, როგორც ეს ვანში ხშირად იცის ხოლმე, მზემ გამოაშუქა. თითქოს დათბა კიდეც, და როცა სოფლებისაკენ კვლავ გავეშურეთ, წყლით გაჟღენთილი მინდვრები თვალს გვჭრიდა. ახლადგათხრილი გზები ატალახებულიყო, ზოგან ორმოებიც გვხვდებოდა, მაგრამ ძმელოს ოსტატურად მიჰყავდა მანქანა და ბოლოს შევეჩვიეთ კიდეც ასე სიარულს. ამ მოგზაურობისას კვლავ შევხვდით მეცხოველეებსა და მებოსტნეებს, მევენახეებსა და მესიმინდეებს, პედაგოგებსა და კულტურის მუშაკებს. ღიას, ვნახეთ და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ისინი მთელ ქვეყანასთან ერთად ერი ცხოვრებით ცხოვრობენ, კმაყოფილებით ლაპარაკობენ ახალ ხუთწლედზე, შრომითი საჩუქრებით ხვდებიან პარტიის დიდ ფორუმს. ვანელები დაბეჯითებით ეძებენ ახალ ბილიკებს, რომლებიც მალე ფართო გზებად იქცევიან.

ᲐᲚ. ᲖᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ვანის რაიონი, მარტი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — ქალაქ ვანის ცენტრის ერთ-ერთი კუთხე. ქვემოთ: მარცხნივ — კუროორტ სულორის ხედი. ცენტრში — გ. ტაბიძის მემორიალური ანსამბლის ფრაგმენტი. მარჯვნივ — ვანის სამხატვრო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა მიერ გაფორმებული სკვერი.

ფოტო ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ.





ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲐ

ᲖᲐᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ფაზაში შევიდა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მესამე უბნის მშენებლობა. თბილგვირაბმშენის კოლექტივი თავდადებით შრომობს, რომ შეძლებოლობენ ამ ძალიან ძნელ ვადებში დაამთავროს საძუშაოები მეტროპოლიტენის „ისან" — „საბურთალოს" მიწისქვეშა მაგისტრალზე. შემოქმედებითი შრომის შედეგად საკმაოდ მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ თბილისელი გვირაბმშენებლები, რაც სკკპ XXIV ყრილობის შესახვედრად გაწილილა სოციალისტურმა შეჯიბრებამ განაპირობა. კოლექტივის წევრები დიდი ინტერესით გაეცნენ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს და შეუდგნენ ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტით დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებას.

ნაკისრი გაზრდილი ვალდებულებანი წარმატებით შესრულდა „ისან"—„საბურთალოს" მაგისტრალის მშენებლობაზე. მექანიზმების სრულყოფილად გამოყენებით, არსებული რეზერვების გამოვლინებით, შრომის დისციპლინის და ორგანიზაციის განუხრელად გაძლიერებით მშენებლებმა გაზარდეს გვირაბის გაყვანის ტემპი და ვადაზე ადრე **დაამთავრეს მარცხენა და მარჯვენა გვირაბების გაყვანა; გეგმით იგი აპრილის პირველ ნახევარში უნდა დამთავრებულიყო.**

ამ მაგისტრალის მშენებლობაზე თავდადებით შრომობენ თბილგვირაბმშენის № 5 საგვირაბო რაზმის (უფროსი ა. ყურაშვილი, მთავარი ინჟინერი ი. მაჭავარიანი), № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარების (უფროსი ს. ჭურაძე, მთავარი ინჟინერი ი. ბერიტაშვილი), მერვე, მეათე და ოცდაშეორე შახტების (უფროსები ვ. ზიბზიბაძე, მ. დათეფოვი, გ. ყიფიანი) კოლექტივები.

მოწინავეთა რიგებში დგანან სოციალისტური „შრომის გმირის კ. ლუბავსკის, გ. კობერიძის, გ. ძეკელიძის, ი. გიგოლაევის, ა. ხარქუშის, ვ. ფოდიაშვილის, რ. ნადარაიას, თ. ჭაჩმაზოვის, მ. ბობოხიძის ლენინური და კომუნისტური შრომის გვირაბგამყვანთა ბრიგადები. **ერთობლივი შრომით მშენებლებმა 24 მარტს მოახდინეს გვირაბების უკანასკნელი შეერთება და ეს საჩუქარი სკკპ XXIV ყრილობას მიუძღვნეს.**

გვირაბების გაყვანის დამთავრებისთანავე გაცხოველებული ტემპით დაიწყო საიზოლაციო მიწისქვეშა საძუშაოები — იგება მუდმივი ლიანდაგი, ეწყობა განათება, მიმდინარეობს გასანიავებელი დანადგარებისა და ჰაერგამტარების მოხტაკი. თანდათან სრულყოფილ სახეს იღებენ სადგურები „ისანი" და „სამგორი", რომლებშიც მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს, ამასთან გრძელდება სადგურ „ისნის" ესკალატორის მოხტაკი.

სასახელოდ შრომობენ ქ. ჭეკლიძის, ქ. ლაზიდის, ა. დათაშვილის, გ. კიწმარიშვილის, ქ. ბლიაძის, ს. ჯაფუხაძის და სხვათა ბრიგადები. მათი ვაჟკაცური შემართება, თავდადებული საქმიანობა იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ **„800 არაგველ" — „სამგორის" 2,6 კილომეტრამდე სიგრძის მიწისქვეშა მაგისტრალი საბჭოთა საქართველოს საიუბილეო დღეებისათვის — 15 მაისისათვის ჩადგება მწყობრში.**

Ჯ. ᲙᲝᲒᲘᲫᲔ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში წარმატებით დამთავრდა კომპლექსური გამოცდა რამდენიმე კილოვატი ელექტრული სიძლავრის ატომური თერმოემისიური ენერგეტიკული დანადგარისა, რომელმაც მყარად წეიმეშავა საპროექტო რესურსი მოცემულ ელექტრულ პარამეტრებში. ამჟამად მიმდინარეობს ამ დანადგარის მეორე კომპლექტის გამოცდა.

საბჭოთა დანადგარი, რომელიც უშუალოდ (უმანქანოდ) თერმოემისიურად გარდაქმნის ატომურ ენერგიას ელექტრულ ენერგიად, ასეთი ტიპის მსოფლიოში პირველი მოქმედი დანადგარია.

ამ დანადგარის შექმნა არის საბჭოთა ატომური მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დიდი მიღწევა, რომელიც დასაბამს აძლევს მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან დარგს. (საკდესი).

ᲐᲕᲯᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

ᲒᲚᲘᲓᲐᲜ წლამდე იზრდება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს „საქავტოტექმომსახურების" სამმართველოს სამუშაოთა მოცულობა. ჩვენი მუშაკები ენთუზიაზმით იბრძვიან იმისათვის, რომ რაც შეიძლება გაამჯობესონ მოქალაქეთა ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურება. 1970 წელს ამ მხრივ დიდი ნაბიჯი გადავდგით პროგრესის გზაზე. სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გამოვლინდა სამმართველოს კოლექტივს სამუალება მისცა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეესრულებინა. რესპუბლიკაში გეგმით გათვალისწინებული 3 მილიონ 200 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულებულია 3 მილიონ 770 ათასი მანეთის სამუშაოები.

საგრძნობ წარმატებებს მივაღწიეთ სოფლის მოსახლეობის მომსახურების საქმეში. სოფლის მოსახლეობის სატრანსპორტო სამუალებების ტექნიკური მომსახურების წლიური გეგმა 111,7 პროცენტით შეესრულეთ და დავალებას 61 ათასი მანეთით გადავაჭარბეთ. საცალო საქონლბრუნვის წლიური დავალება განაღდებულია 119,6 პროცენტით, რაც გეგმაზე 493 ათასი მანეთით მეტია.

გასულ წელს 24,1 პროცენტით ამაღლდა შრომის ნაყოფიერება და თვითეული მუშაკის გამომუშავება 1969 წელთან შედარებით 537 მანეთით გაიზარდა, მნიშვნელოვნად შემცირდა საწარმოო ხარჯები. გეგმით გათვალისწინებული 390 ათასი მანეთის ნაცვლად მიღებულია 488 ათასი მანეთი მოგება, ამასთან გაწეულია ხელფასის ფონდის დიდი ეკონომია.

სამმართველოს კოლექტივი გასულ წელს სამჯერ გამოვიდა გამარჯვებული სოციალისტურ შეჯიბრებაში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემიები მიიპოვა.

1969-1970 წლების განმავლობაში დიდი აღმავლობა განიცადა ავტომომსახურების ობიექტების მშენებლობის საქმემ. საექსპლოატაციოდ გადაეცა ბევრი ახალი ობიექტი.

ახალი ობიექტების მშენებლობასთან ერთად სისტემატურად უმჯობესდებოდა არსებული სადგურების სიმძლავრენი, უმჯობესდებოდა მათი ავტოსათადარიგო ნაწილებით, მასალებით მომარაგება, ფართოვდებოდა წარმოების მოცულობა. მაგალითად, 1967 წელს ინდივიდუალურ მფლობელთა სატრანსპორტო სამუალებების საყოფაცხოვრებო ტექმომსახურების გეგმის შესრულების მაჩვენებელმა მხოლოდ 609 ათასი მანეთი მიადგინა; ხუთი წლის მანძილზე აღნიშნული გეგმა 9,4-ჯერ, თითქმის 3 მილიონ 264 ათასი მანეთით გაზარდა. შესაბამისად გაუმჯობესდა სხვა ეკონომიური მაჩვენებლებიც.

მაგრამ დღევანდელობა უკვე მეტს მოითხოვს. ამიტომაც არის, რომ ახალ ხუთწლედში ჩვენი მუშაკების წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. 1971 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა 1970 წელთან შედარებით 36,7 პროცენტით იზრდება და 4 მილიონ 350 ათას მანეთს მიაღწევს, ხოლო ხუთწლედის ბოლოსათვის 10,4 მილიონ მანეთამდე უნდა გაიზარდოს.

ტექნიკური მომსახურების ზრდის მაღალ ტემპს პირველ რიგში ის იწვევს, რომ ახალ ხუთწლედში არნასულად გადიდდება საავტომობილო პარკი. ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტით მსუბუქი ავტომობილების გამოშვება 3,5—3,8-ჯერ უნდა გაიზ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

26 მარტს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას უძღვებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი.**

მოისმინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრის, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ა. ბ. ვადერის** მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მოგზაურობის შესახებ კამერუნის ფედერაციულ რესპუბლიკაში. პრეზიდიუმმა მოიწონა საქმიანობა დელეგაციისა, რომელიც საპასუხო ვიზიტად იყო კამერუნში ფედერალური ეროვნული კრების მიწვევით.

კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ **მ. ბ. სოლომენცევმა** პალატების კომისიათა სახელით მოახსენა პრეზიდიუმს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების პრაქტიკა, ყურადღება დაუთმონ კანონების მოთხოვნათა ზუსტად დაცვას მამობის დადგენის, ბავშვთა შენახვისათვის თანხების გადახდევინების საკითხებზე, აგრეთვე განქორწინების საკითხებს სასამართლო ორგანოებსა და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერ ორგანოებში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეთითა, რომ საჭიროა განახორციელონ ღონისძიებანი ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის გამოყენებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს წინადადება მიეცა გააძლიეროს კონტროლი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის საფუძვლების მოთხოვნათა ზუსტად შესრულებისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა სსრ კავშირის ჯახმთელობის დაცვის მინისტრის **ბ. ვ. პეტროვსკის** მოხსენება საბჭოთა კავშირის ექიმის ფიცის შესახებ და მისი დადების წესის შესახებ. პრეზიდიუმმა დაამტკიცა ფიცის ტექსტი და დებულება საბჭოთა კავშირის ექიმის ფიცის დადების წესის შესახებ.

რუსეთის სფსრ და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების წარდგენებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი მოქალაქეთათვის მამის სახელის შეცვლის წესის დადგენის შესახებ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ გვარის, სახელისა და მამის სახელის შეცვლის წესის შესახებ.

სხდომაზე განიხილეს შუამდგომლობანი მსგავრდადებულთა შეწყალების შესახებ, სსრ კავშირის მოქალაქედ მიღების შესახებ და სხვა საკითხები. (საკდესი).

დღე-ღამეში 450 მანქანა

ტოლიატი, 27 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს ვოლჟსკის საავტომობილო ქარხანაში სამუშაო დღეა. თანაბრად მოძრაობს მთავარი კონვეიერი. ზედიზედ გადმოდიან კონვეიერიდან მცირე ლიტრაჟის მანქანები — დღე-ღამეში 450 მანქანა..

საწარმოს კოლექტივმა წარმატებით შეასრულა საყრილობო ვალდებულებანი: საექსპლოატაციოდ გადასცა ქარხნის პირველი რიგი, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 220 ათას მსუბუქ ავტომობილს.

შუადღისას გაიმართა ამ მოვლენისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი. სკკპ კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. ორლოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ვოლჟსკის საავტომობილო ქარხნის მშენებლებისადმი, მეინტაჟეების, ავტომობილმშენებლების, ქარხნის მშენებლობის ყველა მონაწილისადმი.

მიტინგზე გამოვიდნენ მემონტაჟეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი პ. პ. პრიგუნკოვი, ავტოქარხნის ძარის საამწყობო წარმოების ზეინკალი ბ. კ. სურიაპინი, კუიბიშევჰიდრომშენის უფროსი ნ. ფ. სემიზოროვი, ვოლჟსკის ავტოქარხნის გენერალური დირექტორი ვ. ნ. პოლიაკოვი და სხვები, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას საავტომობილო გიგანტის შექმნელთა შრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

მიტინგი ვოლჟსკის საავტომობილო ქარხანაში

□

ვოლგის გიგანტი მწყობრში დგება

ვოლჟსკის საავტომობილო ქარხნის მშენებლებმა წარმატებით შეასრულეს სკკპ XXIV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი, დაამთავრეს მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადასცეს საწარმოს პირველი რიგი, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 220 ათას მსუბუქ ავტომობილს.

თავისი მასშტაბით ვოლგის ეს მშენებლობა უბადლოა. სამუშაოების დაწყებიდან განვლილ ოთხ წელიწადში კუიბიშევჰიდრომშენის, სსრ კავშირის ენერგეტიკის და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროების, სატრანსპორტო მშენებლობის, გაზის მრეწველობის და მთელი რიგი სხვა სამინისტროებისა და უწყებების სამონტაჟო და სპეციალიზებულ ორგანიზაციათა კოლექტივებმა ავტოქარხნის კომპლექსის ობიექტებზე აითვისეს კაპიტალური დაბანდების 1,5 მილიარდ მანეთზე მეტი. ქარხანაში მწყობრში ჩაყენეს 1200 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ფართობი, მათ შორის 634 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის მთავარი კორპუსი, საწნეხი კორპუსი, მეტალურგიული და დამხმარე წარმოების კომპლექსები და თბოელექტროცენტრალი. სულ სამშენებლო მოედანზე გადამუშავებულია 97 მილიონი კუბური მეტრი გრუნტი, ჩასხმული და დამონტაჟებულია 4,4 მილიონი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, 240 ათასი ტონა ლითონკონსტრუქცია, დაყენებულია ათე ათას ერთეულზე მეტი ტექნოლოგიური მოწყობილობა, დამონტაჟებულია თითქმის ასი კილომეტრი საკონვეიერო ხაზი.

ვოლგისპირა ვეღზე იზრდება ქალაქ ტოლიატის ახალი რაიონი, სადაც აშენებენ ლამაზ, თანამედროვე შენობებს. მის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა მთავარმოსკოვმშენის კოლექტივმა. ახლა ამ რაიონის მოსახლეობა უკვე სამოცი ათასს აღწევს.

ვოლჟსკის ავტოქარხნის კომპლექსის მშენებლობის ჩქარი ტემპი არის მშენებელთა და მემონტაჟეთა თავდადებული შრომის, ავტომობილმშენებლობის გიგანტისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დაუხსრომელი ზრუნვის, სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობათა შედეგი, რომლის პირობებშიც შესაძლებელი გახდა ერთ ობიექტზე უდიდესი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კონცენტრაცია.

საწარმოს მშენებლობაზე ფართოდ გამოყენებულია კაპიტალური მშენებლობის საბჭოთა და მსოფლიო გამოცდილების საუკეთესო მიღწევები. მძლავრი საწარმოო ბაზა, რომელიც მშენებელთა განკარგულებაშია, საშუალებას აძლევს ფართოდ გამოიყენონ ეფექტიანი კონსტრუქციები და მასალები, შესაძლებელს ხდის მათ უნიფიკაციას. ასეთი მსხვილი სამრეწველო კომპლექსის მშენებლობის ვადების შემცირებას დიდად შეუწყო ხელი ობიექტების პარალელური დაპროექტებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდის დანერგვამ. საწარმოს ობიექტების დაპროექტებას დიდი შრომა მოახმარეს ქვეყნის ორმოცზე მეტი საპროექტო ორგანიზაციის მუშაკებმა. ქარხნის მშენებლობაში მონაწილეობენ ჩვენი სამშობლოს 44 ეროვნების წარმომადგენლები. ყველა მოკავშირე რესპუბლიკებიდან მშენებლობაზე იგზავნება მოწყობილობა, კონსტრუქციები, მასალები, მაკომპლექტებელი ნაკეთობანი ახალი ავტომობილებისათვის.

ვიგიულის ქარხანა სრულიად საკავშირო დამკვრეელური კომკავშირული მშენებლობაა. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან აქ ჩამოსულმა ათიათასობით ქალიშვილმა და ჭაბუკმა პირნათლად განაგრძო და ამრავლა პირველი ხუთწლედების მშენებელთა სახელოვანი ტრადიციები. აქ საყოველთაო ლოზუნგი გახდა: „ზამები მგნეტკას აშენებდნენ, ჩვენ კი — ავტოქარხანას". ოცდაათი ათასმა ახალგაზრდა მუშამ შეიძინა მშენებლის პროფესია, ხოლო ოცი ათასმა — მომზადება გაიარა ქვეყნის სხვადასხვა მანქანათსამშენებლო საწარმოში და გახდა კვალიფიციური ავტომობილმშენებელი.

მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივების შემდუდაბებელი და წარმმართველი ძალა გახდა კომუნისტთა მრავალათასიანი რაზმი. მშენებლობაზე იშვა ბევრი შესანიშნავი, პატრიოტული თაოსნობა. მშენებელთა და მემონტაჟეთა ფართოდ გაშლილმა შეჯიბრებამ და გამოგზავნილი ნაკეთობებისა და მასალების მაღალმა ხარისხმა შესაძლებელი გახადა ობიექტები საექსპლოატაციოდ გადაცემულიყო კარგი და ჩინებული შეფასებით.

ვოლჟსკის ავტოქარხანა უკვე მუშაობს. მისმა ასალგაზრდა კოლექტივმა მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად მოკლე დროში აითვისა ბროდუქციის წარმოება და შეუდგა „ვიგულის" მარკის ავტომობილების სერიულ გამოშვებას. ამჟამად მთავარი კონვეიერიდან ყოველდღიურად გადმოდის 450 მსუბუქი ავტომობილი. სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღისათვის ქარხანა გამოუშვებს 50 ათასამდე მანქანას. სულ წელს ქვეყანა მიიღებს სულ ცოტა 160 ათას ავტომობილს.

მშენებელთა, მემონტაჟეთა და ავტოქარხნელთა კოლექტივმა, რომელიც უპატაკებს პარტიის XXIV ყრილობას ვოლჟსკის ავტოქარხნის პირველი რიგის ამოქმედებას ვალდებულება იკისრა მიმდინარე წელს მწყობრში ჩააყენოს ვოლჟსკის ავტოქარხნის მეორე რიგი და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ახალ ხუთწლედში მთლიანად აათვისოს საწარმოს საპროექტო სიმძლავრე — 660 ათასი ავტომობილი წელიწადში. ამ საყრილობო დღეებში მშენებლები, მემონტაჟეები და ავტოქარხნელები აცხადებენ, რომ არ დაიშურებენ ძალღონეს; ცოდნასა და გამოცდილებას იმ გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა ახალი, შეცხრე ხუთწლედისათვის. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

ამ დღეებში ა. თ. გორკინის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისტემის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის გ. შ. ანაშკინის მოხსენების გამო პლენუმმა განიხილა სისტემის სამართლის საქმეთა სასამართლო ექსპერტიზის საკითხი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ს. გ. ბანიკოვის მოხსენება 1970 წელს სასამართლოების მდგომარეობის შესახებ და ურჩია მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს სისტემატურად იმუშაონ იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლენებისა და შესწავლისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, რათა უზრუნველყონ სამართალდარღვევის თავიდან აცილების ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დიგულების შესაბამისად პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტის ნ. თ. ჩისტიაკოვის ანგარიში კოლეგიის საქმიანობის შესახებ.

პლენუმზე განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა გამო.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე მ. პ. მალიარაგი.

პლენუმს ესწრებოდნენ სამხედრო ტრიბუნალებისა და ზოგიერთი საოლქო და სასაზღვრო სასამართლოს თავმჯდომარეები.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა ყრილობა

საქართველოს კინემატოგრაფისტებს თავიანთ უმაღლეს მისიად, თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ, რომ მთელი თავიანთი საქმიანობით, აზრებით, შთაგონებით, ყოველივე იმით, რაც შეადგენს საბჭოთა ხელოვნის არსს— ემსახურონ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს.

26 მარტს თბილისის კინოს სახლში გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა მესამე ყრილობა. თავიანთ ფორუმზე შეიკრიბნენ ქართული კინოს მოღვაწენი, რეჟისორები, მსახიობები, კინოოპერატორები, კინოდრამატურგები, ტელევიზიონალისტები, რომ ერთად განეხილათ ქართული კინოს განვითარების საჭიბრორტო საკითხები. თავიანთი კოლეგების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდნენ სტუმრები მოსკოვიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა უხუცესმა ქართველმა კინორეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მ. ჭიაურელმა.

აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — პრეზიდიუმი, სარედაქციო კომისია, სამდივნო, სამანდატო კომისია, დაამტკიცეს ყრილობის მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. არჩევნები:
ა) საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობისა.
ბ) სარევიზიო კომისისა.

ბ) სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მეორე ყრილობის დელეგატებისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. გოგიჩაიშვილმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა მესამე ყრილობისადმი, რომელსაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ.

ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ, რეჟისორმა ი. ქაჟთარაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ს. ბაღაშვილი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთავარი რედაქტორი გ. დვალიშვილი, კინოდოდნე ო. სეფიაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინოდოკუმენტალისტი გ. ასათიანი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" მულტფილმების გვერთიანების მთავარი რედაქტორი მ. სარალიძე, კინოკრიტიკოსი გ. დოლიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ნ. სანიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების თეორიისა და ისტორიის კათედრის დოცენტი გ. ხარატიშვილი, კინორეჟისორი ო. იოსელიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე.

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის სახელით ყრილობას დელეგატებსა და მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. გერასიმოვი.

ქართველ კინემატოგრაფისტთა ყრილობას მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ნ. ჩილაია, სომეხი კინორეჟისორი ი. ერზიკიანი, უკრაინელი მწერალი და რეჟისორი ვ. სიჩევსკი.

ყრილობის დელეგატებმა დაამტკიცეს სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ, კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორის მოადგილემ ვ. გახოკიძემ.

ყრილობაზე სამოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა ს. დოლიძემ.

ყრილობამ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის მესამე ყრილობის დელეგატებმა და მონაწილეებმა ტაშის გრიალში მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

ფარული კენჭისყრით აირჩიეს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი — სარედაქციო კომისიის ახალი შემადგენლობა.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ი. შევარდნაძე.

(საქდესი).

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მესამე ყრილობის მიერ არჩეული გამგეობის პირველი პლენუმი.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველ მდივნად აირჩიეს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დოლიძე, მდივნებად — საქართველოს სახალხო არტისტი რ. ჩხეიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ასათიანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ლ. ღოღობერიძე და ე. შენგელაია.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის საორგანიზაციო მდივნად დამტკიცებულია ო. მიქაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი და სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. გერასიმოვი. (საქდესი).

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

27 მარტი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის დელეგაცია პარტიის გენერალური მდივნის გუს ჰოლის მეთაურობით. მოლაპარაკებამ დაადასტურა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტია და ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია საესებით ერთნაირ აზრს ადგანან საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

ᲙᲐᲠᲐᲯᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

27 მარტი. (საკდესი). ბაკისტანის პრეზიდენტმა იაჰია ხანმა, დღეს საღამოს რადიოთი გამოსვლისას გამოაცხადა, რომ აიკრძალა სახალხო ლიგის საქმიანობა და თქვა, რომ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ნაბრძანები აქვთ „შეასრულონ თავიანთი მოვალეობა პაკისტანის ხელშეუხებლობის, სოლიდარობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის და მთავრობის ძალაუფლების სრული აღდგენისათვის".

იაჰია ხანმა აგრეთვე განაცხადა, რომ ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა აკრძალულია და სახალხო ლიგის ხელმძღვანელს რაჰმანს ბრალად დასდო ღალატი.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ აღმოსავლეთ პაკისტანის ჯარებმა და პოლიციის ძალებმა ალყა შემოარტყეს დასავლეთ პაკისტანის ჯარების რაზმებს ჩიტაგონგში, სილჰეტში, ჯესორში, ბარისალში და რომ „მთ შორის მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს.

ᲛᲔᲥᲘᲡᲘᲠᲘ

ᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲐᲜ

27 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატები არ წყვეტს აგრესიულ აქტებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა ნგუენ თხან ლემ ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირზე. მარტო 1-დან 22 მარტამდე ამერიკის თვითმფრინავებმა 220-ჯერ დაუსხლეს თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას.

21 მარტს თავდასხმაში მონაწილეობდა ამერიკელთა 60 თვითმფრინავი, 22 მარტს — 110 თვითმფრინავი. ყოველი წასვლის შემდეგ ტოვებდნენ ათობით დახოცილ და დაჭრილ მშვიდობიან მცხოვრებს, დანგრეულ დასახლებულ პუნქტებს. ამერიკის ავიაციის თავდასხმა ამ ბოლო დღეებშიც გრძელდებოდა.

ნგუენ თხან ლემ აღნიშნა, რომ ჩრდილოეთვიეტნამელი ხალხი საკადრის პასუხს აძლევს აგრესორს. მარტო სამ დღეში — 21-დან 23 მარტამდე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს 7 რეაქტიული თვითმფრინავი და ერთი ვერტმფრინავი. 24 მარტს ჩამოაგდეს თანამედროვე ამერიკული მზეერავი თვითმფრინავი — „პფ-4".

განმარტავს რა ინდოჩინეთში მომხდარ უკანასკნელ მოვლენებს, ნგუენ თხან ლე ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი დამჭაში მარionეტული ჯარები ყველგან მარცხს განიცდიან. მან მოიყვანა მონაცემები ლაოსის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი სარდლობის 23 მარტის სპეციალური კომუნიკედან. მასში თვალსაჩინოდაა ნაჩვენები, რომ ლაოსში ამერიკა-საიგონის ჯარების ოპერაცია სრული მარცხით დამთავრდა.

ნგუენ თხან ლემ ხაზი გაუსვა, რომ ინდოჩინეთში ამერიკის პოლიტიკის კრახის მიუხედავად, ამ რაიონის ხალხებმა უნდა შეინარჩუნონ სიფხიზლე ამერიკის შეერთებული შტატების განუწყვეტელი აგრესიისა და მუქარის პირობებში.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲬᲐᲒᲔᲒᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

27 მარტი. (საკდესი). მიუხედავად იმისა, რომ საიგონის ჯარებს ლაოსში მძლავრ მხარდაჭერას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების, ავიაცია, „ბრძოლა წაგებულია", აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსში" ცნობილი ამერიკელი მიმომხილველი ჯ. რესტონი.

ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის სარდლობამ წერს გაზეთი „ჯეროვნად არ შეიფასა მოწინააღმდეგის ძალა". ვაშინგტონი და საიგონი, აღნიშნავს შემდეგ რესტონი, ახლა ცდილობენ დაფარონ თავიანთი იმედგაცრუება „ლაოსის ოპერაციის" დამარცხების გამო.

ᲙᲜᲯᲐᲠᲐ

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

27 მარტი. (საკდესი). თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ნიჰათ ერიმმა დღეს შექმნა ახალი მთავრობა 24 მინისტრის შემადგენლობით. ნ. ერიმის კაბინეტმა ხელისუფლების სათავეში შეცვალა დემირელის მთავრობა.

კაბინეტის შემადგენლობაშია ოთხი სახელმწიფო მინისტრი, რომლებიც პასუხს აგებენ ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა საკითხებისათვის. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ოსმან ოლჯაი, ეროვნული თავდაცვის მინისტრად — ფერით მელენი, შინაგან საქმეთა მინისტრად — ჰამდი ომეროღლუ, ფინანსთა მინისტრად — საით ნაჯი ერგინი.

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘ

ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ

27 მარტი, (საკდესი). პაკისტანის პრეზიდენტმა იაჰია ხანმა, დღეს საღამოს რადიოთი გამოსვლისას გამოაცხადა, რომ აიკრძალა სახალხო ლიგის საქმიანობა და თქვა, რომ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ნაბრძანები აქვთ „შეასრულონ თავიანთი მოვალეობა პაკისტანის ხელშეუხებლობის, სოლიდარობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის და მთავრობის ძალაუფლების სრული აღდგენისათვის".

27 მარტი. (საკდესი). ჩილეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პრესასა გადასცა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია იმის გამო, რომ „ამ ბოლო დროს რეაქციულმა ელემენტებმა გააქტიურეს ძირგამომთხრელი საქმიანობა".

ისინი ქმნიან ხელოვნურ შრომითს კონფლიქტებს, პროვოკაციულად იწვევენ გაფიცვებს, იტაცებენ საწარმოებსა და მამულებს და სხვ. ყველა ეს მოქმედება, ხაზგასმულია განცხადებაში, ერთმანეთთან არის დაკავშირებული და აქვს პოლიტიკური საფუძველი, რომლის მიზანია ხელი შეუშალოს მთავრობას განახორციელოს დასახული პროგრესული გარდაქმნები.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მუნიციპალური არჩევნების წინ ჩილეში შექმნილი ვითარება ჰგავს იმ ვითარებას, რომელიც იყო პრეზიდენტის არჩევნების წინ, როცა რეაქცია ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ჩაეფუშა მისი ნორმალური მოწყობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ მთელი გულმოდგინებით გამოიძიებს კანონიერებისა და წესრიგის დარღვევის თვითეულ ცალკეულ შემთხვევას და მკაცრად დასჯის ყველა დამნაშავეს.

სამინისტრომ ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა არ აჰყვეს რეაქციის სხვადასხვა სახის პროვოკაციას და მხარი დაუჭიროს მთავრობის ყველა მოქმედებას.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ

27 მარტი. (საკდესი). ინდოეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის დელეგაცია პარტიის გენერალური მდივნის გუს ჰოლის მეთაურობით. მოლაპარაკებამ დაადასტურა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტია და ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია საესებით ერთნაირ აზრს ადგანან საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲘᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲑᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲕᲔᲑᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐᲡ ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲘᲐᲨᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲮᲔᲓᲐᲗ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲐᲠᲘᲡᲘᲡ-ᲡᲐᲓᲐᲖᲕᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲮᲔᲓᲐᲗ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲐᲠᲘᲡᲘᲡ-ᲡᲐᲓᲐᲖᲕᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲮᲔᲓᲐᲗ ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲐᲠᲘᲡᲘᲡ-ᲡᲐᲓᲐᲖᲕᲔᲠᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲖᲠᲐᲒᲘ ᲛᲘᲠᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲤᲝᲢᲝ ᲘᲣᲢᲐᲝ-ᲐᲰᲐᲚᲘ ᲐᲑᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ.

ᲜᲘᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲜᲔ

ᲙᲐᲜᲐᲜᲐ. (საკდესი). 18 ათასზე მეტი ნიანგია მსოფლიოში, ამ ქვეწარმავალთა ერთადერთ საშენში. იგი შეიქმნა კუბის სპპატის ნახევარკუნძულზე 1959 წელს და მაშინ მხოლოდ რამდენიმე ათეული ნიანგი იყო, რომლებიც ახლომახლო ჭაობებში დაეჭირათ.

საშენს მუდამ სტუმრები ჰყავს, რომლებსაც აინტერესებთ ნიანგების ნახვა. მაგრამ, უნდა ითქვას, საამიდო ღობის იქითაც თავს მო

საქართველოს ქუა-ბაგში

გაფაფხულები ვაკის პარკში

პატარა თბილისელები ჩვეულებრივად მოსულან საყვარელ პარკში, ხალისით დარბიან და ყურადღებას არ აქცევენ არც სატვირთო ავტომანქანებს, არც უზარმაზარ თხრილებს მოედანზე...

ვაკის პარკი ახალი სეზონისათვის ემზადება.

შენდება წყალგარდნილი. მიწისქვეშა მილები უკვე ჩაწყობილია, მიერთებულია ძირითად კვანძთან და მიყვანილია მიწისქვეშა საქაჩავ სადგურთან. მოკლე ხანში დამთავრდება მათი გასინჯვა.

დიდი ყურადღება ექცევა პარკის გზებისა და მოედნების მოშანდაკებას წითელი აგურით.

გთვალისწინებულია მოძველებული ნარგავების შეცვლა ახალი მცენარეებით. ბარნოვის ქუჩიდან პარკში შესასვლელ გზაზე ირგება 120 ძირი კანადური ალვის ხე. მარადმწვანე ბორდიური შეიცვლება 100 მეტრ სიგრძეზე. დაირგება 16 ძირი ჰიმალაის კედარი, რომელთა სიმაღლე 6 მეტრია. პარკის საყვავილე გაზონებს წელს შეეტატება საკუთარ ორანჟერიაში გამოყვანილი 1100 ძირი ნამყონი ვარდის ჯიშები. სპეციალურად მომზადებულ გაზონებში დაირგება გაზაფხულის ადრე-მოყვავილე მცენარეები ნარგიზი და ტაცეტი.

შედგენილია სპეციალური პროექტი, რომლის მიხედვით პარკში არსებულ დირექციის შენობას დაედგმება მეორე სართული, სადაც მოთავსდება ბიბლიოთეკა-სამკითხველო, შაშისა და ჭადრაკის ოთახი, „წყნარი კუთხე"; აშენდება წყალშემკრები და წყალგამშვები არხები, ღია ტიპის ფანჩატურები და სხვ.

— გვინდა ღირსეულად შევხვდეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 50-ე წლისთავს. ამისათვის მთელ რიგ ღონისძიებებს ვახორციელებთ, — გვითხრა პარკის დირექტორმა ვ. ხოფერიამ. — შედგენილია გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ლექციურ პროპაგანდას. მომხსენებლები მოვიწვევთ საზოგადოება „ცოდნიდან", მოეწყობა კითხვა-პასუხის, თემატური საღამოები; საიუბილეოდ გთვალისწინებულია 80-ადგილიანი 32 მეტრი სიმაღლის პანორამული ბორბლის აგება. ეს კარგი საჩუქარი იქნება ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის. შენდება ქართული ვაზის ხეივანი, რომლის საერთო ფართობი 800 კვადრატული მეტრია...

...ჩვეული ხალისით დარბიან ლოყებშეწითლებული პატარები საყვარელ პარკში და ყურადღებას არ აქცევენ არც სატვირთო ავტომანქანებს, არც უზარმაზარ თხრილებს მოედანზე...

ე. ჩიგოგიძე,
ნ. შინჯიკაშვილი.

ნეგოძირის კოშკი

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ბევრი ისტორიული ადგილია ორჯონიკიძის რაიონში. აქ ნახავთ ძველთაძველ ეკლესიებს, ციხე-კოშკებს, უძველეს გამოქვაბულებს. ერთი ასეთთაგანია ნეგოძირის კოშკი.

ისტორიულ ციხე-კოშკებსა და სამაგრეებს დიდი ინტერესით ათვალიერებენ პიონერ-მოსწავლეები, ახალგაზრდები, ხანდაზმულნი. ისინი საუბრობენ ჩვენი საშობლოს წარსულზე, იგონებენ გმირ წინაპრებს.

ᲕᲝᲔᲨᲘᲐ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ...

ვახტანგ ონიანის ახალი პერსონალური გამოფენა

ᲫᲕᲘᲠᲨᲐᲡ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერანმა". სახვითი ხელოვნების საექსპოზიციო დარბაზებს საკუთარი თაოსნობით შემატა თაკისი დარბაზი, სადაც 1970 წლის მანძილზე არაერთი საინტერესო გამოფენა მოაწყო. გამომცემლობის ხსენებული აპარტამენტი საკმაოდ კომფორტული და ინტიმური, თანაც სავსებით საკმარისია ერთბროვნული გამოფენებისათვის. რუსთაველის პროსპექტზე თვალსაჩინო ადგილზე მოწყობილი ეს გამოფენები აურაცხელ დამთვალიერებელს იზიდავს. დიდი გამოხმაურება ჰპოვეს ლადო გუდიაშვილის, უჩა ჯაფარიძის, სევერიან მაისაშვილის, კოტა გურულის და ჯემალ ლოლუას გამოფენებმა. გამომცემლობა „მერანის" თაოსნობა არა მარტო სახვითი ხელოვნების პროპაგანდის, არამედ მწერლებისა და მხატვრების კიდევ უფრო დაახლოების და მათ შორის შემოქმედებითი კავშირის განმტკიცების საშუალებაც არის.

ამჯერად ჩვენი დარბაზი საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარ ვახტანგ ონიანს დაეთმო. გამოფენის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო და ეს ინტერესი მხატვრის შემოქმედებისადმი დღემდე არ შენელებულა. მინდა „კომუნისტის" მკითხველებს გამოფენით მიღებული შთაბეჭდილება გავუზიარო.

ვახტანგ ონიანი ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ორმოცდათიანი წლების მიწურულს გამოჩნდა ასპარეზზე. ეს თაობა ახლის მაძიებლობითი, ტალანტების სიუხვით გამოირჩეოდა. ვახტანგ ონიანი ერთ-ერთი პირველთაგანია თავის მძლავრ თაობაში. ონიანი მრავალმხრივი მხატვარია. იგი მოქანდაკეა, გრაფიკოსი და, რაც მთავარია, პოეტი თავის ქანდაკებასა და გრაფიკაში. ვახტანგ ონიანის შემოქმედება ჭეშმარიტად ხალხურია არა მარტო ფორმათა სისადავითა და გასაგებობით, არამედ, და განსაკუთრებით, გრძნობათა მახლობლობითა და გულში ჩამწვდომობით.

სკულპტურული ნამუშევრებიდან განსაკუთრებით მომეწონა „ადგილის დედა". ძველებურ ტანსაცმელში მსგავსად ქვაში ცოცხლად ჩაკირულივით გამოგვაქვს ირმალებით მოცული დედაკაცი. ოღონდ დაღლილი და გაუხეშებული, მუხლზე დასვენებული ხელი, აგრეთვე ეს თავსაფარში გამოკრული მშობლიური სახე ძალზე გვეცნობა — ქართლსა თუ კახეთში, ფშავსა თუ ხევსურეთში, რაჭაში თუ სვანეთში, ყველგან გვინახავს იგი — და მაინც, თითქოს შორეული წარმართული საუკუნეებიდან გამოგვაქვს და გვავალებს გავუფრთხილდეთ წილხვედრილ მიწაწყალს. მძლავრი, შთამბეჭდავი და დამაჯერებელია მამაკაცის პორტრეტი სახელწოდებით „სვანი". ეს გახლავთ მხვნელ-მთესველისა და მთიბელის, მრრომელი სვანი ვაკაცის ძუნწად, მხოლოდ მთავარში დამუშავებული, განწოგადებული სახე. ძვირფასია ქალშვილის პორტრეტი „დალი". ღაწვი, ბაგე, თვალ-წარბი, მეტყველი გრაციოზული კისერი წყნარ მოწითლო მერქალ ქვაში გაცოცხლებული ქალწულისა არა მარტო მშვენიერია, არამედ კეთილშობილი და სპეტაკიც. სწორედ ამ კეთილშობილების, კდემამოსილების, სისპეტაკის გადმოცემა იყო მხატვრის მიზანი და უპირველესი ამოცანა.

აქ არ შეიძლება ორიოდ სიტყვა მაინც არ ითქვას ქვა-მასალაზე, როგორც მხატვრული გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე. გლუვი, პრიალა, მდიდრული, თეთრად ქთქთა, ანტიკური დიდებული დარბაზებისთვის დიახაც ზედგამჭრილი მარმარილო ონიანს არ იზიდავს. ძველი სვანეთის ყოფის, ან თუნდაც ახალი, მაგრამ მკაცრი სვანური კოლორიტის გადმოსაცემად, საკმაოდ სამართლიანად, წყნარი წითელი, მურა ნაცრისფერი, მიწისფერი, ანგაისფერი მასალა შეეკადრება. არა მარტო ეს მშობლიური მახლობელი ადამიანები, არამედ ეს ქვა-მასალაც თითქოს სადღაც გვინახავს — არ ვიცი, სვანურ ყორეებსა და ქვაყრილებში თუ სვანეთის ჩქარი მდინარეების რიყეებში.

ხომ ასე საინტერესოა ვახტანგ ონიანი როგორც მოქანდაკე, მაგრამ მე პირადად, როგორც არასპეციალისტს, განსაკუთრებით მიყვარს სვანეთის ბუნების, სვანური ყოფის აშსახველი მისი ფერადი გრაფიკა. აქვე უნდა დავძინო, რომ ვახტანგს ძალიან ხშირად უხსენებენ ხოლმე თავის მშობლიურ კუთხეს და სვანეთის მომდევრლად თვლიან, რაც არ არის სწორი. ვახტანგ ონიანი საქართველოს უმღერის და სვანეთი როგორც ყველაზე ნაცნობი და მახლობელი მასალა, მხოლოდ საშუალებაა მისთვის მეტი სიწრფელით „უმღერ ოდეს მთელ საქართველოს და ხშირად, ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, ზოგადსაც.

განსაკუთრებით დიდხანს ვდგავარ ხოლმე ვახტანგის გრაფიკულ ნამუშევრებთან, ისეთებთან, როგორიც „მზის გულზეა", ბერი მახვში ორ ახალგაზრდა ქალთან ერთად კოშკების ფონზე ქვის კედელთან ჩაცუცქებულა და ჩამავალ მზეს მიფიცხებია. მე კი ვიცი, რაზეც ფიქრობს ახლა ეს ძვირფასი, მრავალჭირნახული მოხუცი: ოსპზე, ქერზე, რახის გამოხდაზე, მრავალრიცხოვან შვილთაშვილზე, როგორც ოჯახის გაგრძელებაზე, და კიდევ — ჩამავალ მზეს და ქვემეცნულად წარმავლობაზე. კომპოზიციურად ლაკონიური და მოხდენილი, აგრეთვე დეკორატიული და სასიამოვნოა „სვანური ზარი". დინამიკური და ცოცხალი, მოძრავი და ამაღელვებელი, აგრეთვე ფერონენების თვალსაზრისით საინტერესოა ორი კომპოზიცია პირობითი სახელწოდებით: „თეთრი რემა" და „წითელი რეა". ფერწერულია, ფერწერის სიმაღლეში აღის ჯგუფური პორტრეტი „წითლით მოსილი ქალები".

ვახტანგ ონიანმა მხატვრობის, მხატვრული აზრის დარგში დიდი ტრადიციების მქონე არაერთი ქვეყანა მოიარა, ყოველივე ახალს ეზიარა, მაგრამ უცხო ცდუნებებს არ აჰყოლია და ერთგული დარჩა თავისი ეროვნული ტრადიციების.

დღეს ვახტანგ ონიანი უკვე ნაცადი, თვალსაჩინო ოსტატია. ონიანის მანერას, მის ხელწერას ბევრისაში გამოარჩევ. ხატვა ერთია, მაგრამ სხვაა სულის ჩადგმა, დახატულის პოეტიზაცია, მისი პოეზიის ხარისხში აყვანა, რაც ვახტანგის თვისებაა. ვახტანგ ონიანის ბრძენი მოხუცები, პირქუში დედაკაცები, მკვირცხლი, მგლის ლეკვივით ბიჭუნები — მშობლიური, მახლობელი ადამიანები არიან და საკუთარი ოჯახის წევრებივით გადმოგვცემენიან კედლებიდან.

სწორედ ამაზე ლაპარაკობდნენ გამოფენის გახსნის დღეს: ლადო გუდიაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ნიკო კეცხოველი, კოტა გურული, კარლო კალაძე, ალექსანდრე გერასიმოვი და სხვანი.

დიდხანს შესცქერიან ძვირფას ნამუშევრებს, აღტაცებას ვერ მალავენ და იქვე, საგამოფენო დარბაზში ამასვე ლაპარაკობენ მხატვრები და მწერლები, მეცნიერები და სტუდენტები, მშრომელები, უბრალოდ მხატვრობით დაინტერესებული არასპეციალისტებიც.

ამასვე მეტყველებენ ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, არაბულ ენებზე გამოთქმული მოსაზრებანი შთაბეჭდილებათა წიგნში. ძვირფასო მხატვარო! მე განმაცვიფრა თქვენმა ხელოვნებამ. თქვენმა ნამუშევრებმა ბევრი რამ ისეთი დამანახეს, რასაც აქამდე ვერ ვხედავდი საქართველოში. დიდი მადლობელი ვარ თქვენი", — ვკითხულობთ ერთ-ერთ ჩანაწერში რუსულ ენაზე.

ასეთი გამოფენით ყოველ წელიწადს როდი წარსდგება ხოლმე მხატვარი სამსჯავროზე. ეს გახლავთ ჭეშმარიტი შემოქმედის მრავალი წლის ნაშრომის თვალსაჩინოებრივი დემონსტრაცია, და ყველა, ვინც მას არ ნახავს, დიდ სიამოვნებაზე იტყვის უარს.

მურმან ლეგანიძე.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ვ. ონიანი თავის სახელოსნოში, ქანდაკება „მოლოდინი" დაიდგა ბიჭვინთაში; ქვემოთ — ვაჟა-ფშაველას პორტრეტი (ზევით); „ძვირფასი ქვა"; მარჯვნივ — „შუადღე".

ᲐᲕᲢᲝᲠᲬᲔᲛᲘᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲕᲘᲜ ᲐᲛᲬᲐᲚᲔᲑᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲝᲜᲐᲒᲔᲑᲡ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲗᲐᲜ ᲛᲘᲚᲝᲒᲝᲕᲘᲡ ᲛᲫᲚᲝᲚᲗᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲢᲐᲢᲣᲚᲔᲑᲐᲪ. ᲝᲜᲘᲐᲜᲗᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲗᲐᲡ ᲨᲘᲜ ᲣᲪᲮᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲯᲘᲜᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲣᲧᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ ᲣᲧᲝᲤᲓᲐ.

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲛᲓᲐᲕᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ: ᲯᲘᲐᲣᲠᲘᲚᲛᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲬᲘᲠᲔᲗᲔᲚᲛᲐ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲝᲕᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ, ᲘᲒᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲐ. ᲔᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲗᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲗ.

ᲐᲮᲚᲐᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲛᲘᲖᲜᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐ. ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲛᲝᲜᲐᲒᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲑᲘ ᲬᲝᲜᲐᲡᲬᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ, ᲘᲒᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲐ. ᲔᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲣᲙᲐᲜᲡᲐᲩᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲘᲡᲝ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲪ.

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ, ᲠᲣᲡᲣᲚ, ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚ, ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠ, ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲝᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲨᲝᲕᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ, ᲘᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲠᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲐ. ᲔᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲣᲙᲐᲜᲡᲐᲩᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲘᲡᲝ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲪ.

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ, ᲠᲣᲡᲣᲚ, ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚ, ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠ, ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲗᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲝᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲨᲝᲕᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ, ᲘᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲠᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲐ. ᲔᲡ ᲘᲚᲘᲐ ᲣᲙᲐᲜᲡᲐᲩᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲘᲡᲝ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲪ.

Ბ. ᲛᲐᲮᲒᲘᲚᲐᲫᲔ,

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" საკ. კორ.

◆

ᲗᲝᲤᲘᲐᲜᲘ ᲥᲣᲠᲓᲘ

ᲘᲕᲐᲜᲔ იაკოვლევი ქუთაისის ოცდამეერთე პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლობს. ეს ფორმალურად, მაგრამ მას სწავლისათვის როდი სცალია. თვალები სულ დაცეცებული აქვს, დღედაღამ იმაზე ფიქრობს, ვის რა მოპაროს, რა ზარალი მიაყენოს.

ამას წინათ ი. იაკოვლევი მოტოციკლეტის მოპარვისათვის მილიციამ დაიჭირა და სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მაგრამ ქუთაისის პროკურატურამ თავდებით გაუშვა. ჯერ ეს საქმე არ იყო დამთავრებული, რომ ი. იაკოვლევმა კვლავ ცხოვრების მრუდე გზით სიარული არჩია. ერთ საღამოს სანადირო თოფით შეიარაღდა და ვაჟა-ფშაველას ქუჩისაკენ გასწია. იქ მას წინდაწინ შეთვალიერებული ჰქონდა გარაჟი, რომელშიც „მოსკვიჩი" იდგა.

ღამის სამი საათი იყო. ი. იაკოვლევი შიაპარა გარაჟთან, გაღებები მოარგო, გაიღო კარი და მანქანა აამუშავა. ხმაურზე გაღვიძეს მანქანის პატრონმა ზ. კვატაშიძემ და მისმა ოჯახმა. გამოუკიდნენ ქურდს, მაგრამ ი. იაკოვლევი როდი შეშინდა — თოფის სროლა აუტეხა დადევნებულ ადამიანებს და დაჭრა ზ. კვატაშიძე.

ქურდი ი. იაკოვლევი მიიმალა.

ბ. ბახტურიძე.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲨᲘ

ᲤᲠᲔᲓ ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ

„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ" (ერევანი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი) 0:0. ერევანი. 27 მარტი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ᲚᲔᲕᲘᲜᲝᲕᲘ (მოსკოვი).

„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ" — ა. აბრამიანი, ავანესიანი, ფ. აბრამიანი, კოვალენკო, მესროფიანი, ანდრიასიანი, არუთინიანი (მარტიროსიანი), იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, კაზარიანი.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" — ურუშაძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტელია, ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, ლ. ნოდია.

ᲪᲝᲢᲐ ჯაფა როდი დაადგათ თბილისელ მცველებს გუშინ. ისინი მთელი თამაშის მანძილზე ძმა-მე ბრძოლას ეწეოდნენ არა მარტო „არარატის" ფორვარდებისა და ნახევარმცველთა, არამედ მცველთა წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ იერიშებში. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ დინამოელთა მოიერიშე ხაზი ნაკლებად აქტიურობდა, ამასთანავე მას აკლდა მთავარი ბომბარდირი გ. ნოდია.

პირველ ტაიმში მასპინძლები ინარჩუნებდნენ თვალსაჩინო უპირატესობას, სულ მცირე ოთხჯერ მაინც გადარჩა სტუმართა კარი გოლს. 28-ე წუთზე ხინჩაგაშვილმა თავგანწირული ნახტომით გადაუღობა ღია კარისაკენ მიმავალ ბურთს გზა.

მეორე ტაიმში თბილისელები ბევრად უკეთესად თამაშობდნენ, მაგრამ ვერც მათ შეძლეს ბურთის გატანა. საბოლოოდ ფრე — 0:0. ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, ამჯერად თბილისში, 31 მარტს.

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა პირველი მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე.

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲠᲕᲐ ᲨᲐᲘᲑᲐ ᲨᲕᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲨᲘ

სსრ კავშირისა და შვეიცის ნაკრებთა 26 მარტის მატჩით ამოიწურა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი წრე შაიბიან ჰოკეიში. სწორედ ეს გუნდები იდგნენ სატურნირო ცხრილის სათავეში და, რა თქმა უნდა, მათი შეხვედრა ცენტრალურ მატჩად ითვლებოდა.

მსოფლიოს ათგზის ჩემპიონებმა საბჭოთა ჰოკეისტებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ბრძოლა, მათ თავიდან ხელთ იგდეს ინიციატივა, მოქმედებდნენ მაღალი ტემპით, ინიციატივიანად და მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს 8:0. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში 4 გოლის ავტორი იყო ფირსოვი.

საბჭოთა ნაკრები ერთპიროვნული ლიდერი გახდა. იგი ერთადერთი გუნდია, რომელსაც დამარცხება არ განუცდია. მეორე წრის შეხვედრები ეუნივერში გაიმართება. ახლა გადავხედოთ მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობას:

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 27 ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	5	4	1	0	40-8	9
შვეიცია	5	3	1	1	18-18	7
ჩეხოსლოვაკია	5	2	1	2	23-15	5
ფინეთი	5	2	1	2	13-21	5
აშშ	5	1	0	4	15-29	2
გფრ	5	1	0	4	15-33	2



ᲛᲔᲡᲢᲔᲜᲓᲣᲠᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲡᲘ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ საქართველოს თასის გათამაშება სასტენდო სროლაში. გუნდური პირველი ადგილი და თასი ლოკომოტიველებს ხვდათ. მრგვალ სტენდზე სროლაში უძლიერესი იყო ტ. მატოიანი („განთიადი"), ადგილიდან სროლაში — ამავე საზოგადოების წარმომადგენელი კ. დარასელია.

ᲙᲘᲓᲔᲗ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲝᲩᲨᲘ, ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲨᲘ ᲨᲔᲓᲒᲐ 3 ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ.

სოჩში თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტი" და კიევის „დინამო". მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

მატჩი დონეცკში ადგილობრივი „შახტიორისა" და სსრ კავშირის ჩემპიონის ცსკა-ს გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 0:0.

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ სკა-სა და ლვოვის „კარპატის" შეხვედრის შედეგია 2:0 დონისროსტოველ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

□

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

● **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** ოლიმპიური შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ინგლისისა და ბულგარეთის გუნდებს შორის, რომელიც ლონდონის „უემბლის" სტადიონზე შედგა, დამთავრდა ინგლისელთა გამარჯვებით 1:0. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გაიმართება სოფიაში 5 მაისს.

● **ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ** იმისა, რომ იტალიის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი „ინისი" მადრიდში დამარცხდა „რეალთან" შეხვედრაში 66:74, იგი მაინც გავიდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში, რადგან პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა ქულათა უკეთესი შეფარდებით 82:59. ფინალში „ინისი" შეხვდება მოსკოვის გუნდს — ცსკა-ს. ეს მატჩი შედგება 8 აპრილს ბელგიაში.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01 ინფორმაციის — 22-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 08497

ხაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲞᲝᲠᲢᲠᲘᲐ

ᲒᲐᲛᲝᲤᲐᲜᲘᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘ

ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ

ᲛᲙᲐᲪᲠᲘᲡᲘᲗ ადიდდა ცხოვრება და თან წარიტანა მის ნაპირებზე ძირმომპალი ქოხმახები, უხეირო შენობები, ადიდდა და თან გაიყოლა უფესვო წარსული ჩაბღაუჭებული კინტოთა და ჩარჩთა, მეფუძნეთა შთამომავალნი...

ძველი და ახალი ცხოვრების ჭიდილი, მათი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აისახა არჩილ სულაკაურის მოთხრობაში „წყალდიდობა" (რომელიც საფუძვლად დაედო სურათის სცენარს). ფილმის რეჟისორია თენგიზ გოშაძე. სურათში მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები კოტე თოლორაია (ლადო), ედიშერ მაღალაშვილი (მეწისქვილე სტეფანე), ლია კაპანაძე (იულია), რამაზ ჩხიკვაძე (მედუქნე ანტონა), ლეილა ყიფიანი (ტასიკო), მარინე თბილელი (მაკო) და გიორგ